

4
1966

№ 23 (1249) თბილისი, დეკემბერი 1966

ნენი

გამოცემის 44-ე წელი

ფასი 20 კპ.




ქართველი
ბიბლიოთეკე

ნ. ა. ფიცხვალაძე

— რაშია სანაე?
— ზოლიში, მუნაბლავის საღვრელო შეისვა
ფეხე აღვოში!





— მოდი, ჩვენი მეზობლები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ;
— მაგათ რას აჯობებ, ჩვენი ინჟინრის სახლს აშენებან.



— გვიხველეთ, საშენი მასალები გვაქლია;
— შენ ხომ არ გვაქლია?!

ცხადია, შავი ფეკლისგან ტორტი არ გამოცხვება და მაჩვის რძისგან კარაჭი არ მოიღვებება, ვერც ცუდი მასალისგან აშენდება კარგი სახლი. ეს იცის ყველა მშენებელმა, ეს იცის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა პირველ და მეორე ქარხნებში, ეს იცის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა მეორე კომბინატშიც, იცის „საქმშენინდუსტრიის“ მუშაკებმაც, იცის და მაინც მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია უხარისხოა, დღემდე ვერ აღმოუფხვრიათ საპროექტო ზომების, ტექნიკური პირობების, ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტის დარღვევის შემთხვევები.

მათ მიერ გამოშვებულ მრავალსივარულიან ვადსახურ ფილებს აქვთ ტრაპეციოხალხური კვეთი, სისქე, ნაცვლად ოცდაორი სანტიმეტრისა, მეზოგობს ოცდაამიდან ოცდახუთ სანტიმეტრამდე, ზოგიერთი ფილის სამუშაო არმატურა „უსირცხვილოდ“ გაშიშვლებულა, ხოლო კუთხეები და ნაპირები ჩამომტვრევიან. როგორც წესი, ამგვარ პროდუქციას არა აქვს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მარკირება. საკითხავია, შეიძლება ასეთი სახით პროდუქცია გამოიყენონ მშენებლობებზე? რა თქმა უნდა, არა! მაშ რად სთავაზობენ „საქმშენინდუსტრიის“ წარმოებები ასე გულუხვად ამგვარ პროდუქციას მშენებლებს?

ასევე დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ თბილისის, რუსთავისა და ბზიფის დიდბანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნები.

პანელების ზედაპირი უსწორმასწოროა, აქვს ბზარები, მონამტვრევები და, რაც მთავარია, პანელები არ არის ერთი და იგივე სისქისა. ბლოკებს აქვთ სხვადასხვა სისქე და სიგრძე, სუსტადაა დამაგრებული ანჯამები და ყოველივე ეს ისევ ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ მარცხათია.

მშენებლებს უხდებათ ამ დეფექტური კონსტრუქციებისა და დეტალების ხელახლა დამუშავება, რაც, რა თქმა უნდა, თავი რომ დავანებოთ დროს, ხარჯებთანაცაა დაკავშირებული. ალბათ ქარხნების მესვეურები ფიქრობენ: ჩვენს ნაკლზე თავი მშენებლებმა იტეხონ, სხვა გზა მაინც არა აქვთო. მართლაც რომ სხვა რა გზა აქვთ!

აგური დღევანდელ მშენებლობაში ისევ დიდ ადგილს იკავებს და მაინც ისე მხადდება, რომ არ აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტს თუმცა არის ხელისშემშლელი პირობებიც: არ არსებობს ხარისხიანი ნედლეულის ბაზა, ქარხნები მეტიდ გაცვეთილი მექანიზმებითა და დანადგარებითა აღჭურვილი. დარღვეულია წარმოების ტექნოლოგია.

აგურის უხარისხობის წყალობით არც თუ ისე იშვიათად ხდება ავარიები და სერიოზული დაზიანებები.

საოცარია კიდევ ერთი რამ: მიუხედავად მთელი რიგი მითითებებისა, რომ აგური გადაზიდონ სპეციალური მოწყობილობით, რომლის მეშვეობით მთლიანად გამოირიცხება აგურის მტვრევა, რესპუბლიკის აგურის ქარხნები მაინც აგრძელებენ აგურის ყრილად გადატვირთვას, რაც იწვევს მტვრევას. იქნებ ვინმეს საოფიანად მიაჩნია აგურის გადაზიდვის ასეთი მეთოდი? ნუთუ ამ პატარა საქმეს თავი არ უნდა მოეხსნა? მაშინ ზარალი ხომ საგრძობლად შემიკრდება. მაშ, რაშია საქმე? დაე, ამ კითხვას უფრო კომპეტენტურმა პიოებმა უბაუხონ.

თბილისის კერასიკული კომბინატის მიერ გამოშვებული მასპირკეთებელი ფილების სისქე ჯერ კიდევ დაუდგენელია. სხვათა შორის, არც ზომა აქვთ სტანდარტული და, ყველა ამ სიკეთესთან ერთად, გვერდებიც მრუდდა. ასეთი პროდუქცია რომ გამოიყენონ, საჭიროა მშენებლებმა პატარა ხანს შეაჩერონ მშენებლობა, დაიკაიწონ მკლავები და დაიწყონ ფილების ზომის, ფორმისა და სისქის მიხედვით დახარისხება. ამ მხრივ თბილისელებს არც ჩხარელები ჩამოუვარდებიან.

კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები ძალიან ხშირად უშვებენ ისეთი დაბალი მარკის ცემენტს, რაც სრულებით არ შეეფერება სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. ცემენტსაც ხომ თავისი პასპორტი აქვს და აი, ხშირია შემთხვევა, როდესაც მშენებლობაზე მოდის ცემენტი თავისი პასპორტით. შეხედავთ და იხევეთ — პასპორტი სხვაა, ცემენტი კი სხვა. როდესაც ადამიანს სხვათა პასპორტი აქვს, მისი ვინაობა საეჭვოა, ალბათ ასევე საეჭვო უნდა იყოს ცემენტიც.

მშენებლობას ქვიშაც ესაჭიროება. ესაჭიროება ცოტა კი არა, — ქვიშასავით ბევრი, რაც უფრო წმინდა და სუფთია ქვიშა, მით უფრო მდიდარია, და რაკი მდიდარია, მაღალხარისხოვანიცაა. მაგრამ რა მდიდარი უნდა იყოს ქვიშა წითელწყაროს კარიერზე, როდესაც ქვიშის მიწოდება სამსხვრევი დანადგარიდან რკინიგზის პლატფორმამდე ბუღდოხერით წარმოებს, რაც მის დანაგვიანებასა და ქვიშის ფრაქციების შერევას იწვევს.

ფოილოს კარიერზე ქვიშის გასამდიდრებლად გამოყენებულია რვა-ათმილიმეტრიანხანსავრეტიანი საცერი, მაშინ როდესაც პროექტის მიხედვით ხუთმილიმეტრიანს არ უნდა აღემატებოდეს.

ჩოლობურის კარიერის მიერ გამოშვებული ქვიშის მარცვლოვანი შემადგენლობა გაცილებით აღემატება სახელმწიფო სტანდარტით დაშვებულ ნორმას. აქ გასაცრელად გამოყენებულია ოცდახუთმილიმეტრიანხანსავრეტიანი საცერი!

ჩვენ ვვინდა ვურჩიოთ ჩოლობურის კარიერის მექანიკოს ნიკოლაძესა და საჯავახოს კარიერის ცვლის უფროს რუხაძეს ავრონომის დიალომები დანიშნულებისამებრ გამოიყენონ, წავიდნენ სამუშაოდ რომელიმე მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში, იქ სიამოვნებით შენვდებიან მათ თბილისის კარიერის სამმართველოს ოსტატმა მიქავამ, მარკვიდერმა, კონანოვმა და გამამდიდრებელი საამქროს ოსტატმა ხატუნოვმა ჩააკიდონ ერთმანეთს ხელი და თავიანთ სპეციალობას — ბუღალტრობას დაუბრუნდნენ. ფოილოს კარიერის მთავარმა ინჟინერმა — ნეფარიძემ ინჟინერ-მეტალურგის დიალომი წარადგინოს რუსთავში და არც მას დატოვებენ უადგილოდ. ოსტატმა მარტიროსოვამ კი შემანქანებობა გაიხსენოს, ხოლო დამამზადებელი საამქროს უფროსი შონია, რომელიც განათლებით ფერშალია, ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დადგეს. ჩვენ ფარწმუნებულად ვართ ამით არაფერი დაშავდება და ოჟ ამ საქმეს სპეციალისტები მოკიდებენ ხელს, უკეთესადაც წავა მუშაობა. ბოლოს და ბოლოს ხომ: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი ფარჩებიანო“.

საუნებო და უნებო? ვინ უნებო?

რა თქმა უნდა, ახალი ამბავი არ არის, რომ თითქმის უმეტეს ახალ ბინას საფუძვლიანი რემონტი ესაჭიროება. დავენიშნავთ მშენებლებს, ჩვენს რესპუბლიკაში თუ მონახავენ ისეთ ბევრ სახლს, რომელიც დეფექტების გარეშე იქნება აშენებული, ამ წერილში აღებული ჩემი პირობითი მაგალითი შეგვიჩვენებს.

სამშენებლო მართლმადიდებელი ბინები როდი შენდება უხარისხოდ. რა დისამალია: საქართველო მდებარეობს შვიდ-რვაბალიან სეისმურ რაიონში. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი უნდა აშენდეს მკვიდრად, შენობები უნდა იყოს დამოხრლითებული და ცალკეული ნაწილები შედუღებული, მკაცრად უნდა იყოს დაცული პროექტით გათვალისწინებული ტექნიკური პირობები და ნორმები. ზემოხსენებულმა ტრესტებმა კი ყველაფერ ამას გვერდი აუარეს.

ბარიტის მიკროდამზენელი სამშენებლო, ლიტოფონის ქარხნის თუთიის კორპუსის, ელექტრომექანიკური ქარხნის, ქვის ვადამამუ-შაგებელი ქარხნის, ავტოქარხნის, ფეროშენადნობების ქარხნის, აბრეშუმის, ფეხსაცმლისა და ხალიჩების საქსოვი ფაბრიკების მშენებლობაზე ქუთაისში რომელსაც მეოთხე ტრესტი ხელმძღვანელობდა, რკინა-ბეტონის ზოგიერთ ბოს ვერტიკალიდან ხუთითხუთმეტრი სანტიმეტრი გადახრა ჰქონდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ბოძებზე დაწოლის ძალა საგრძნობლად მოიმატებს და, რა თქმა უნდა, გამოლეობა საგრძნობლად დაიკლებს. პატარა მიწისძვრა და...

ასევე უხარისხოდ ჩატარდა ანტისეისმური სამუშაოები თბილისის ობიექტებზე: კიროვის სახელობის დაზავაშენებლობის ქარხნის, ავტოლის სილიკატების საკედლე მასალების ქარხნის, მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკისა და, სხვა მშენებლობებზე ბოძები და ბლოკები დამოუხრლითებულად შეაერთეს. ჩასატანებელ ელემენტებს, ბევრ შემთხვევაში არა ჰქონდათ ანტიკოროზიული საფარველი.

მშენებლობის ნორმებისა და წესების დაცვა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მაღალი ხარისხი განსაკუთრებით საჭიროა ქ. გორის პირობებში, რომელიც რვაბალიან სეისმურ ტერიტორიაზეა განლაგებული. მაგრამ მეცხრე ტრესტმა ისე უნებოდ დაარღვია სეისმური მდგრადობის ნორმები და წესები, რომ მიწისძვრის გარეშე შეიძლება ხელიდან გამოგვეცალოს ორმოცდარვაბინიანი სახლი მგებთე კვარტალში და ორმოცდაექვსბინიანი №6, 8, 9 და 10 სახლები მეშვიდე კვარტალში. აქ არც შესაყრები რკინა-ბეტონის დამოხრლითება მოხდა და არც პანელებს შორის არსებული ნაწიბურების ცემენტის მაღალხარისხოვანი ხსნარით შედუღებება. ხარჯი კი დიდია გაიწია, სახელმწიფოს ფული უზრუნველად გაიფანტა.

მშენებლობის მაღალი ხარისხით ვერ დაიტრიახებენ მთავართბილშენის სამშენებლო №6 სამმართველოს მუშაკებიც (უფროსი გ. ს. თვალავაძე, მთავარი ინჟინერი გ. ზ. ზურაბაშვილი) მათ მიერ შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გულწრფელ კაცს ცრემლები წამოუვია...

სამუშაოს მწარმოებლებმა — გ. ბერიკაშვილმა, ო. ბიბილაშვილმა და ა. ქათამაშვილმა თავიანთი ნახელავი თბილისში ლიახვის ქუჩაზე მდებარე სკოლის შენობასა და ვარდისუბნის ქუჩის მესამე მასივის მეათე კვარტალის მშენებლობაზე წარმოადგინეს. აქ, სპაროექტო ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად, მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციები შეცვლილია ასაკრებით. ავტურის წყობა შესრულებულია უხარისხოდ, არ არის დაცული რიგების პორიზონტალობა. ვერტიკალური წიბურები უმეტეს შემთხვევაში, არაა შედუღებული.

ლიახვის ქუჩაზე სკოლის მშენებლობაზე პირველი სართულის დერეფანში გადახურვა შესრულებულია ოცდაორი და თექვსმეტი სმ. ფილებით, რის გამოც ჭერი საფეხურებიანია.

ავტალის გზატკეცილის შვიდ ნომერში რვასართულიან სამოცდახუთბინიან სახლში (სამუშაოს მწარმოებელი ა. კუშნეცოვი) კიბის მოედანი და ბინის იატაკი არ არის ერთ დონეზე. მესამე სართულზე მეორე სექციაში სამოთახიანი ბინის იატაკი რვა სანტიმეტრით დაბალია კიბის მოედანთან შედარებით.

სახელმწიფო ფულების განიავების მდიდარი გამოცდილება აქვთ სოხუმის საკონსერვო ქარხნის მშენებლობის პილროიზოლაციური სამუშაოების შემსრულებლებს. მათ ისე უსუსურად და უხარისხოდ აწარმოეს თავიანთი საქმე, რომ ერთხელ გაკეთებული მეორედ გასაკეთებელი გახდა, მოწვეულ იქნა კერძო მეწარმე რუბახას ბრავადა და დამატებით სახელმწიფომ გადაიხადა ოცდაათი ათას შვიდასი მანეთი. იმავე რუბახას ბრავადა გაჭირვების ტალკვესად სოხუმის წყალსადენის რეზერვუარების მშენებლებსაც მოევლინა, დამატებითი სამუშაოები ჩაატარა და მათგანაც, უფრო სწორედ სახელმწიფოსგან, თერთმეტი ათას ექვსასი მანეთი ჩაიჯიბა. მართლაც რომ საკითხავია! რა შენდება და ვინ შენდება?

ბარი მებრაველი.



— ამ სახით ვერ ჩავიბარებ, შენობა გადაუსურავია!
— ეს მოწყალებს დაუბოვით, შრომის გაკვეთილებზე გადასურავენ.



— თქვენ გპირდებით ონკანები, კლიტები, ნათურები, გაყვანილობა, უნიტასი!
— თქვენ რა იცით?!
— როგორ რა ვიცით? სახლი ჩვენი აშენებულია!



— აბრუნოთ კაცს რა გინდა გუფებში?
— რატომ? აქაც მფვანესთან მკაპს საქმი!

სტუმარსა და მფვანესს შორის

(იუმორესკა)

ერთმა ტაქსის შოფერმა ისე გამოაცხა, რომ მოულოდნელობისგან შეეძახე: „უპ, შენისთანა ღვთისნიერ კაცს გაუმარჯოს! ერთი საჩივრისა და წინადადებების წიგნი მომეცი, მაღლობა უნდა ჩაგიწერო!“ „როგორ გეკადრებათ! ამისთვის მაღლობის თქმაც არა ღირს, ჩემს ადგილას ტაქსის ყველა შოფერი ასე მოიტყუოდა. ეგ კი არა, ამას წინათ ისეთი რამ შემემთხვა, მაშინაც კი არ ჩავაწერინე მაღლობა და ეგ რა მოსატანია!“ „რა იყო ეგეთი?“ — აღარ მოვეყვი. „რა და, ვხედავ ერთი კაცი მიაბიჯებს ქუჩაში და ყველაფერს აკვირდება. ალბათ ჩამოსულია, გავივლე გულში და წამოვეყვი. დაბრძანდით, ბატონო, ვეუბნები. თქვენ ნამდვილად ქალაქის დათვალიერება გნებავთ. კიო, გამიღიმა და ჩამიჯდა. მე ვურჩიე — ჯერ მთაწმინდიდან გადამოხედოთ თბილისს, ასე სჯობია და მერე შევეყვით დეტალურად მეთქი. შენ აგაშენა ღმერთმა, რა დიდებული სანახავი ყოფილა მთაწმინდიდან თქვენი დედაქალაქიო. იცით თქვენ რამდენი წლისაა ჩვენი დედაქალაქი? — ვკითხე. სტუმარმა გამიღიმა და თავი დამიქნია. მე განვეუბარებე, რომ თბილისი ათას ხუთასი წლის წინათ საქართველოს დედაქალაქად გამოცხადდა, თორემ ისე ოთხი ათასი წლის მაინც არის. სტუმარს ძალიან გაუკვირდა, მე კი ვუთხარი, რომ უკანასკნელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეიძლება თბილისი ხუთი ათასი წლის ქალაქად მოინათლოს, ოღონდ, სამწუხაროდ, ჯერ საბოლოო შედეგები დაზუსტებული არ არის. ახლა ეს გაიკვირვა იმ კაცმა: ტაქსის შოფერმა ამდენი საიდან იცით. ეჰ, ეს რა ცოდნაა, ბატონო, ვუთხარი. ჩვენთან ერთი შოფერი იყო, აბა, ის უნდა გენახათ. ახლა სად არისო. ახლა პენსიაზე გავიდა და სადოქტოროზე მუშაობს მეთქი. ეს რომ გაიგონა, კინაღამ გადაირია: არა მჯერათ. გეტყობათ, აქაური რომ არა ბრძანდებით, თორემ კი დაიჯერებდით, ბატონო-მეთქი, დავარწმუნე.

მთაწმინდიდან აბანოებისკენ დავეშვი. მერე სამასი არაგველის გმირობაზეც ვუამბე ჩვენს სტუმარს და „რუსტორან“ „კრწანისშიც“ ერთად ვისადილე. კინაღამ გადაირია კაცი ცვირან მწვადებსა და კალმანებზე, სულგუნსა და ხაჭაპურებზე. ფული, რა თქმა უნდა, მე გადავიხადე. სულ რაღაც შეიძინე მანეთი და ცხრა კაბიკი დამიჯდა. მერე ვაკე და საბურთალო შემოვატარე და იზოტოპების ქარხანა ვაჩვენე. როცა ვუთხარი, ასმეორე ვლემენტის მიღებაში ქართველ ფიზიკოსებს მცირე წვლილი როდი მიუძღვით-მეთქი, სულ ვაშა, ვაშა, საქართველოსო, იძახა.

ბოლოს რუსთაველის თეატრში წავსლა გურჩივ: დღეს სერგო შაქარიაძე მეფე ღირს თანამობს-მეთქი. ის ხომ არაა, ჯარისკაცის მამა რომ ითამაშა გასაგვიებლადო? კი, ნამდვილად ისაა, ბატონო-მეთქი. აბა, ჩქარა, ბილეთი იქნებ ვიშოვო. მივი-

ყვანე რუსთაველის თეატრთან, ბილეთი, რასაკვირველია, მე ავუღე და დავემშვიდობე. გაიკრა ჯიბეზე ხელი და ოცდახუთმანეთიანი გამომიწოდა. მე იმწამსვე ცხრაშეტი მანეთი და ოცდათექვსმეტი კაბიკი გავუწოდე. კინაღამ გადაირია კაცი: ეს რა არისო?! მე ვუთხარი, რომ ეს არის ხურდა და თუ არ გამომართმევს, მილიციას დაუუძახებ. მილიციისა ძალიან შეეშინდა და გამომართვა ხურდა. მერე ამოიღო და ოქროს ძეწკვი გამომიწოდა: მანქანის გასაღები ჩამოკიდე ზედ, ოქრო კაცი ხარ და ალალია შენზეო. მე ხელები გაგასავსავე: უბრალო ძეწკვი რომ იყოს, კიდევ ჰო, ოქროსას კი ცოცხალი თავით არ გამოგართმევთ-მეთქი. ვინ მოგეშვა. სად იყო, სად არა, მილიციელი გაჩნდა. მე ავუსხენი, რაშიც იყო საქმე. ახლა მილიციელმა შეიკრა კოპები და თავი გადაქნია. მაშინ სტუმარმა დაალოპირი და ბავშვით ღრილი მორთო: თქვენ ჩემი სიკვდილი გინდათ, ახლა ინფარქტი მეტაკებო. მაშინ მილიციელმა ჰკითხა: თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ეს შოფერი მაგ ოქროს ძეწკვის გულისთვის მოგემსახურათ ასე კარგადო. ღმერთი, რჯული, ხატი, ცოლ-შვილი, ნათესავებ-ნაცნობ-უცნობები ყველა სამარეში ჩამეწვინოს, თუ მაგის მსგავსი რაიმე გამეგლოს გულშიო. გამართვი ახლა ძეწკვი, ეყოფა, ნულა ატირებ ამხელა კაცსო, მითხრა მილიციელმა. ჰო, რაც იმ სტუმარმა ჩვენ გვლოცა მაშინ!

აი, რა მიაბო ერთმა ტაქსის შოფერმა.
ჰოდა, ამის შემდეგ, აბა როგორ შევეკადრებდი, მაღლობა ჩამეწერა წიგნი ისეთი წვრილმანისათვის. რისთვის? ღმერთმანი, ახლაც მესხატრება თქმა.

წუარაბ რაბინანი



ერთმანეთს გაკითხავინ ჩვენს ქვეყანაში

სახვარალო ნიანგო!
არჩა, გვიშველე აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოს მცხოვრებთ, თორემ მალე დედისერთა შარვლებიც შემოგვეხევა და დედიშობილა მოგვიხდება სიარული ჩვენი კინოს სკამების წყალობით. არ გეგონოთ, ზედმეტად ტემპერამენტიათ ვიყოთ. უბრალოდ, იმიტომ ვკვირით და ვყვირით, რომ ლურსმნები გვერჭობა სხეულში და სკამები გვეგრევა თვალსა და ხელს შუა.
შეგვიბრალე, საყვარელო ნიანგო! იქნებ, როგორმე შეაცვლევინო სკამები, მით უმეტეს, რომ ისინი დიდი ხანია მოტანილია და მხოლოდ დადგმას ელოდებიან.

დალურსმულავი

ყოვლისშემძლე ნიანგო!
მშენებლობის სამინისტროს სახელზე ქ. ჭიათურიდან მოვიდა ასეთი „შინაარსის“ დებემა: „ივლისის მემორიალური ნახევარში ორგანიზაციები მუშახელის გახტლევამა ევიკა ეკტფოლატრესტ ჩიათურმარგანმშენი შანილზე 197 რაიონებიდან ტაკ“.

შენი სახელის ქირიმე! იქნებ, როგორმე დაგვეხმარო და გაგვაგებინო, რას გვწერენ, თორემ აგერ რამდენი ხანია მთელი ჩვენი შტატი ამ დებემის გაშიფვრაზე მუშაობს და შედეგი კი არა ჩანს.

დადაპეშეხულინი

უგანათლებულესო ნიანგო!
შველს რაღაცას აგროვებს — ზოგი მარკებს, ზოგი ჰალსტუხებს. არიან ისეთებიც, რომლებიც რწყილებსა და ბაღინჯოებს აგროვებენ, მე კი თავსატეხი აბრების მთელი კოლექცია მაქვს. ერთ-ერთი, და ყველაზე შეხანიშნავი, ბორჯომში, კიროვის ქუჩაზე, ტელეფონის ბოძზე აღმოვაჩინე და კინაღამ ჭკუიდან შევიშალე სიხარულისგან; მისი გამოიფრელი არავინ აღმოჩნდა. აბრაყ ასეთი უნდა.

ჩემო ძვირფასო! ვიცო, რომ გიყვარს თავსატეხი გამოცანები და სწორედ ამიტომ გავბედე და გამოგიგზავნე ჩემი უკანასკნელი შენაძენი: „საწვრების შემკეთებელი სახელოსნო“. გულისფანცქალით ველი შენს პასუხს.

აბრამბეროვებელი

სახვარალო ნიანგო!
აბრ ცამეტი წელია, შავ დღეში ვართ ქ. თელავის სააკაპის მოედნის № 8, 8-ა, 8 და 8-ა-ში მცხოვრებლები: ცამეტი წლის წინათ ჩავიკეტება გზა და ცამეტი წელია გვირდებიან ახლის გაკეთებას, მაგრამ საქმე კი არა ჩანს. ვერც ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებამ უშველა ჩვენს გაჭირვებას: არა და არ გვადირსენა გზა.

ყოვლისმძლე ნიანგო! შენ მაინც დაგვეხმარე და თუ გზას ვერ გავიყვან, პარაშუტები მაინც დაგვირიგე, რომ თელავზე გადაფრენისას ჩვენს ელ-კარში ციდან მაინც ჩავეშვათ.

დაჩინშულავი

ახვ. ნიანგო!
ამ რამდენიმე თვის წინათ კვეზანი-აკარმარას რკინიგზის გასწვრივ, დაბა სუბვარას მახლობლად თქვესმეტბინიანი ლამაზი სახლი იდგა, მაგრამ თვალსა და ხელს შუა ისე გაიძარცვა, რომ შიგ ჯერ კაცს არ უტყობია და ახლა ჩონჩხით აწოწილი კედლები-და დარჩა.
ამიერკავკასიის რკინიგზის პოლუმის ქვეგანყოფილების შენობათა და დანატანციის უფროსი ამხ. შ. ესებუა კი უურააც არ იბერტყავს.
შენი ქირიმე, ნიანგო! იქნებ, შენ მაინც გავგაგებინო, ვინ და რისთვის ააშენეს ეს სახლი და თუ ააშენეს, ვინ და რატომ გააძარცვიან იგი.

პასუხსდანატრულავი

სახლიდან კამათები

სახლიდან გამოსულმა გულნარა ცოცხიმეილმა ხელში ატატებული ფუთა ქუჩის ბოლომდე ატარა, № 4 სახლის სადარბაზო შესასვლელში შევარდა. ფუთა საფოსტო ყუთთან დააგდო და გაიქცა.

კითხვა: გულნარა ცოცხიმეილი ფოსტის დამტარებელია?

პასუხი: არა, ეკონომისტი. სახლში არავეინა ჰყავს და ყოველ დღით ნაგავს ასე იშორებს თავიდან.

უფრო უკვლილ დაიკარგა ინსტიტუტის ლექტორი ქვაკაცაშვილი. გულმოკლულმა მამიდაშვილებმა, დეიდაშვილებმა და პაპიდაშვილებმა ქვეყანა შეაჩერეს და ვერსად იპოვნეს დაკარგული ნათესაეი.

კითხვა: სად არის ლექტორი ქვაკაცაშვილი?

პასუხი: თავისი ბინის სარდაფში ზის და მძებნელ ნათესაეებს ემალება მისაღები გამოცდების დამთავრებამდე.

წყნითელი იაგორა არუთინაშვილი ყოველდღიურად თბილისში ყიდის 70 ქილა მაწონს.

კითხვა: რამდენი მეწველი ძროხა ჰყავს იაგორა არუთინაშვილს?

პასუხი: ერთი, — დიდი გასტრონომი წყნეთში.

მავთულის საამქრომ დაიწყო ვაშლის წვეწების დამზადება.

კითხვა: რა აკავშირებს მავთულს ვაშლთან?

პასუხი: ფული.

3. კახელიშვილი



ბარი



ბარში

ნახ. 3. მხედლიშვილისა.

არწივმა, ფრინველთა მეფემ, ბულბულის ხმა რა ისმინა, შურით აღივსო, აღენთო, თავისთვის ჩაისისინა:

„მეფეთა მოღმბის შვილი ვარ, მპყრობელი ცის და ქვეყნისა.

მაგრამ გალობის უნარი ბუნებით მე არ მეღირსა!.. მოდი ჩემს მართვეს შეგირდალ მიცემ, სიმღერა ასწავლოს,

რომ ჩვენი ვგარის დიდებამ ქვეყანა შეაზანზაროს...“

„ბულბულო, ყელსალამურავ, ტკბილმოუბარო, მზიანო, როგორ ახერხებ გალობას, გთხოვ მითხრა, გამიზიარო!“

ბულბულმა მეფის წინაშე თავი დახარა მდებლად:

„როგორ აგისხნათ, მეუფევე, ეს ხდება თავისთავადა — ჩემი მშობლები გალობდნენ, და-მმანი, ბიძაშვილები, მამა-პაპანი და მათი შვილები, შვილიშვილები...“

შთამომავლობის მადლითა მეც გულით დამიკვნესია, მოგეხსენებათ, მეფეო, ფეტვი ადგილზე თესია...“

„ღმერთმა გიკურთხოს ეგ ნიჭი და ზენაარის წყალობა, მოდი, ასწავლე ჩემს მართვეს ეგ შენებური გალობა.“

„არრა გამოვა, ბატონო, ვერ ამღერდება, შევრცხვები, სიცილით ამოწყდებიან შრომანები და მერცხლები...“

„შენ შენი ცდა არ დააკლო, მე თვითონ მოგვერი ბარდებში,

ფუჭად არ გაგსჯი, იცოდე, ყელამდე ჩაგვამ ვარდებში...“

ბულბულმა ჰკადრა: „რას ბრძანებთ? მე ჩემიც მყოფნის, რაცა მაქვს.

უმწიკვლო კაცის სახელი, სადაც მივდივარ, თან დამაქვს...“

მე თქვენი ხათრი მბოჭავს და თქვენი მეფური დიდება, თუ მართვეს აგიჭიკტიკებ, ჩემი ზეიმიც იქნება!“


ასე დაიწყო წამება მასწავლებლის და შეგირდის, დღე ღამეს მისდევს, ღამეს — დღე, ფუჭ წყლის ნაყვავში დრო მირბის...

აქ სოლფეჯიო აუხსნა, იქ მელოდია, ტიალი, ნერვებს უშლიდა მსმენელებს შეგირდის როყე

გაწბილებულმა აღმზრდელმა ვერ მოინელა სირცხვილი, ხის ტოტზე თავი დაიხრჩო, განჯვას არჩია სიკვდილი...

თუ იგავს ჩავუკვორდებით, ცხადია მისი მორალი: რაც უნდა ხებო ქვიშითა, არ გათეთრდების ყორანი.

ლევან მილორაზა



მთავარი რედაქტორი: ნოდარ ლუგვაძე. სარედაქციო კარლავია: ჯ. ბოდუაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშინაიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. პელიძე.

თბილისი, სატირისა და კომპოზიტორის ქუჩის ბინაში. თბილისი, სატირიკო-იურიტიკული ჟურნალ «ნიანგი». რედაქციის მისამართი: თბილისის პრ. № 33, ტელ. რედაქტორის 8-74-69, საერთო განყოფილების — 8-10-78.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კ. ც. გამომცემლობის სტანია № 1, ლენინის ქ. № 13, შეკვ. № 4017 უფ. 03323 ტირაჟი 55000

66-859

საქართველო
გეოგრაფიკა

საქართველო



ნ. ს. ჯ. ლაშვილი

— ცოტაც მოითმინეთ, გიჟებო! მგონი
შენთვის მიღებავა ხელს აწერს.